

საქართველოს კანონი

„სურსათისა და თამბაქოს შესახებ“ საქართველოს კანონში
ცვლილებების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1. „სურსათისა და თამბაქოს შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი I, №31 (38), 07/14/1999, მუხ. 165) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სურსათისა და თამბაქოს წარმოების, მანიპულირებისა და ვაჭრობის მეთოდების დაშვების წესები დგინდება საქართველოს კანონმდებლობით.“.

2. მე-8 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. მომხმარებლის ფალსიფიცირებული პროდუქციისაგან დაცვის მიზნით საქართველოს კანონმდებლობით დგინდება შეფუთვებზე, ჭურჭელზე, სურსათის გასაყიდად განკუთვნილ სხვა ტარაზე ან თვით სურსათზე აუცილებელი მონაცემების (შიგთავის, სურსათისა და თამბაქოს მწარმოებლის შესახებ) აღნიშვნათა ჩამონათვალს.“.

3. მე-9 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საქართველოს კანონმდებლობით დგინდება:

ა) იზღუდება ან იკრძალება გარკვეული მეთოდების გამოყენების დაშვება თამბაქოს ნაწარმის დამზადების ან მანიპულირების დროს;

ბ) განისაზღვრება თამბაქოს ნაწარმზე გამაფრთხილებელი წარწერის დატანის წესი.“.

მუხლი 2.

1. ამ კანონის ამოქმედებიდან სამი თვის ვადაში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროებმა, კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყონ კანონქვემდებარე აქტების ამ კანონთან შესაბამისობაში მოყვანა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებამდე საქართველოს მთავრობის მიერ გამოცემული ნორმატიული აქტები ინარჩუნებს იურიდიულ ძალას.

მუხლი 3. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი